EUMM

დამკვირვებელი

საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის პერიოდული გამოცემა • გამოცემა #7 • აგვისტო 2019

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი - კავშირის დამყარება კონფლიქტით დაზარალებულ თემებთან

მიმოხილვა

ადამიანის უსაფრთხოებისა და ადამიანის უფლებების პოპულარიზაცია უმნიშვნელოვანესია საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის (EUMM) მუშაობისთვის და თბილისში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის სათავო ოფისსა და რეგიონალურ ოფისებში - მცხეთაში, გორსა და ზუგდიდში, იმ თანამშრომლების ყურადღების ცენტრშია, რომლებიც აკვირდებიან აღნიშნულ საკითხებს და ამზადებენ ანგარიშგებებს. რეგიონალურ ოფისებს ყავთ სპეციალიზებული ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფები - რომელიც ჩვეულებრივ შედგება 5-დან 7-მდე დამკვირვებლისგან - რომლებიც თვალს ადევნებენ კონფლიქტით დაზარალებული მოსახლეობის ცხოვრების პირობებს თავიანთ კონკრეტულ ოპერაციების არეალში. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის სათავო ოფისში ექსპერტები ახდენენ აღნიშნული სამუშაოების კოორდინაციას და უზრუნველყოფენ შესაბამის ანალიზსა და კონსულტაციებს.

მას შემდეგ რაც მისია პირველად წარიგზავნა საქართველოში, პრიორიტეტული იყო იძულებით გადაადგილებულ პირთა და კონფლიქტით დაზარალებული ადგილობრივი მაცხოვრებლების საჭიროებებისა და ყოველდღიური გამოწვევების დადგენა. "ნორმალიზაცია" - რაც გულისხმობს კონფლიქტით დაზარალებულ პირთათვის ისეთი საცხოვრებელი პირობების აღდგენას რომელიც ომამდე ჰქონდათ - არის ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ განსაზღვრული მისიის მანდატის ოთხი საყრდენიდან ერთ-ერთი და 2008 წლის პირველი ოქტომბრიდან, როდესაც პირველი დამკვირვებელი ჩამოვიდა საქართველოში, რჩება მისი მუშაობის განუყოფელ ნაწილად. თუმცა, დღეს ნორმალური ცხოვრების აღდგენის გზაზე არსებული დაბრკოლებები განსხვავდება იმისგან, რაც 2008 წელს ომის დასრულების შემდეგ იყო და ზოგიერთ რეგიონში გამოწვევები რეალურად გაიზარდა კიდეც.

მისია აღრიცხავს აღნიშნულ გამოწვევებს და იყენებს მის ხელთ არსებულ მექანიზმებს პრობლემების მოგვარებისა და შემსუბუქებისათვის - მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და პოტენციურ დონორებთან ინფორმაციის გაცვლის გზით. „დამკვირვებლის“ ეს ნომერი წარმოადგენს მიმოხილვას ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საქმიანობის შესახებ ადამიანის უსაფრთხოების სფეროში.

რა არის ადამიანის უსაფრთხოება?

ტრადიციულად, „ადამიანის უსაფრთხოება“ განიხილებოდა, როგორც თემების ფიზიკური დაცვა. სულ ცოტა ხნის წინ განმარტება გაფართოვდა, რაც მოიცავს ადამიანის უფლებებზე ორიენტირებულ მიდგომას. დღეს ყურადღება გამახვილებულია ინდივიდზე და საბოლოო მიზანი არა მხოლოდ ფიზიკური დაცვაა, არამედ დაცვა ისეთი საფრთხეებისგან, როგორიცაა სიღარიბე, დაავადებები და შიმშილი. ადამიანის უსაფრთხოება, მისიის თვალსაზრისით თუ ჩამოვთვლით მხოლოდ ნაწილს, ითვალისწინებს ეკონომიკურ უსაფრთხოებას, სურსათის უვნებლობას, ჯანმრთელობის უსაფრთხოებას, ეკოლოგიურ უსაფრთხოებას და საზოგადოების უსაფრთხოებას.

როგორ მუშაობს საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე?

როგორც ადრე აღვნიშნეთ, მისიის მანდატის მთავარი კომპონენტია "ნორმალიზაცია". ნორმალიზაცია მო-

იცავს ადამიანის უსაფრთხოებას მთლიანობაში, რომელიც მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა გადაადგილების თავისუფლება, მიწაზე წვდომა და პირადი დოკუმენტების ქონის უფლება. ამისათვის მისია აკვირდება და აანალიზებს მდგომარეობას და ამზადებს ანგარიშებს ადამიანის უსაფრთხოების შესახებ და გამოყოფს ადამიანის უსაფრთხოების ჯგუფებს, რომლებიც ყურადღებას ამახვილებენ ათასობით ადამიანის ცხოვრების პირობებზე, რომელთა უფლებები და გარემოებები ჯერ კიდევ დარღვეულია. მისიის დამკვირვებლები აფასებენ მათ გადაადგილების თავისუფლებას, საკუთრების უფლების დაცულობას, სამედიცინო ობიექტების, განათლების, სასოფლო-სამეურნეო მიწებსა და წყლის, მართლმსაჯულების, ბაზრობების და ადმინისტრაციული საზღვრის მიღმა ვაჭრობის ხელმისაწვდომობას. ეს არის ძირითადი აუცილებელი თავისუფლებები, რაც ასევე გავლენას ახდენს ეკონომიკურ შესაძლებლობებზეც.

საცხოვრებელი პირობების შესახებ ინფორმაციის შეგროვების მიზნით, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები ყოველდღიურად ხვდებიან ადგილობრივ ოფიციალურ პირებს, ასევე საერთაშორისო და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსა და ექსპერტებს. შეხვედრები ხშირად იმართება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზებთან ახლოს. მისია ასევე ესაუბრება იძულებით გადაადგილებულ პირებს საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე, რომელთა უმეტესობა (45%) ცხოვრობს კოლექტიურ ცენტრებში, რომლებიც არ არის განკუთვნილი საცხოვრებლად.

მისიის სპეციალურ ადამიანთა უსაფრთხოების ჯგუფებისთვის განკუთვნილ პერსონალს, როგორც წესი, გააჩნია ფართო ექსპერტიზა და პროფესიონალური გამოცდილება ადამიანის უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვაში. მისიის სათავო ოფისი თბილისში კოორდინაციას უწევს თითოეულ რეგიონალურ ოფისს, რაც მიზნად ისახავს საქართველოს მთლიანი ტერიტორიის დაფარვას, და აძლევს მათ რჩევებს მისიის ადამიანის უფლებების და გენდერის საკითხებზე მრჩევლების მეშვეობით. ადამიანის უსაფრთხოების გამოწვევების მუდმივად ცვალებადი ხასიათის გამო, მისიის სათავო ოფისი რეგულარულად ანახლებს ფოკუსის არეებს ბრიუსელში ევროკავშირის ინსტიტუტებთან კოორდინაციით, რათა უზრუნველყონ შესაბამისი ინფორმაციის შეგროვება გადაწყვეტილების მიმღებ პირთათვის ადგილობრივ და ევროკავშირის დონეზე.

ადამიანის უსაფრთხოების ჯგუფები რეგულარულად ხვდებიან იმ ინსტიტუტებსა და სააგენტოებს, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ადამიანის უსაფრთხოებისთვის შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე. 2009 წლიდან მისია ორგანიზებას უწევს რეგულარულ "ინფორმაციის გაცვლის შეხვედრებს" (ISM) საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის, როგორც ზუგდიდში, ასევე თბილისში. ეს შეხვედრები ადგილობრივ მოსახლეობას სთავაზობს პლატფორმას არსებული სიტუაციის შესახებ მოსაზრებების და ინფორმაციის გაცვლისთვის და აძლევს მისიას შესაძლებლობას, მოახდინოს სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების ინფორმირება კონფლიქტთან დაკავშირებულ საკითხებზე. ინფორმაციის გაცვლის შეხვედრები საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიას აკავშირებს არასამთავრობო ორგანიზაციებთან და დიდად ეხმარება მისიას გაიღრმავოს ცოდნა ადგილზე არსებული ადამიანის უსაფრთხოების საკითხებსა და სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივებზე მათ შემდგომი განხილვისათვის.

მისიის ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე საქმიანობის ძირითადი საყრდენი სწორედ თვითონ დამკვირვებლები არიან. მისიის დამკვირვებლები არიან ევროკავშირის 26 წევრი ქვეყნიდან, მათ აქვთ მრავალფეროვანი ცხოვრებისეული გამოცდილება და სპეციფიური ცოდნა და ინტერესები გენდერის, თანასწორობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და ადამიანის უფლებების საკითხებში. აღნიშნული მრავალლფეროვანი გამოცდილება სასარგებლოა ადამიანის უსაფრთხოების ჯგუფების სამუშაოსა და სპეციალიზაციაში.

ერთი დღე გორში ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის დამკვირვებლის ცხოვრებიდან ...

ხერარდ დე ბური, ნიდერლანდები, ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის დამკვირვებელი - გორის რეგიონალური ოფისი

რატომ არის თქვენი სამსახური მნიშვნელოვანი?

ჩვენ მნიშვნელოვან როლს ვასრულებთ ღია კონფლიქტის განახლების თავიდან აცილებასა და კონფლიქტის ორივე მხარეს ადამიანებისთვის საუბრის შესაძლებლობების უზრუნველყოფაში. ჩვენი მონიტორინგის სამუშაოების მეშვეობით, ვცდილობთ ნორმალური ცხოვრება დავუბრუნოთ იმ ადამიანებს, რომელთა ცხოვრებაც ყველაზე მეტად დაზარალდა, განსაკუთრებით კი მათთვის, ვინც ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან ახლო სოფლებში ცხოვრობენ. მე დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ ამ სამუშაოს და ვამაყობ, რომ ამაში მონაწილეობას ვიღებ.

ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რა ამოცანებს შეასრულებთ დღეს და როგორ ჯდება ეს საქმიანობა ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის საერთო გეგმაში?

დღეს გორში გვაქვს სოციალური მომსახურების სააგენტოსთან ინტერვიუ, რათა განვიხილოთ და მიიღოთ რაიმე განახლებული ან ახალი შესაბამისი ინფორმაცია სააგენტოს მუშაობის და ნებისმიერი გადაუდებელი საკითხის შესახებ. შემდეგ ჩვენ წავალთ ფლავისა და ქვეშის სოფლებში, რათა ადგილობრივი მოსახლეობისგან მივიღოთ განახლებული ინფორმაცია სასმელი წყლის, საირიგაციო სისტემებისა და სასოფლო-სამეურნეო მიწაზე ხელმისაწვდომობის შესახებ ასევე უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ სხვა საკითხზე. ეს მნიშვნელოვანია, რადგან როგორც მისიამ, ჩვენ უნდა დავინახოთ და მოვისმინოთ, თუ როგორ მოქმედებს მოუგვარებელი კონფლიქტი ხალხის ძირითადი საჭიროებების ხელმისაწვდომობაზე, რათა მივაწოდოთ ინფორმაცია გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ევროკავშირში და ვეძიოთ პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზები ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის ორივე მხარის გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან ერთად.

ვინ დაგეხმარებათ დღეს?

დახმარებას გამიწევენ ჩემი კოლეგა ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფიდან, კარინ ეკლუნდი შვედეთიდან და თარჯიმანი ნინო საქართველოდან.

რა დრო დასჭირდება პატრულირებას?

პატრული იგეგმება ხუთიდან ექვს საათამდე, მაგრამ გამოცდილებამ მასწავლა, რომ, როგორც კი ადამიანებთან საუბარს დაიწყებ, საუბარი მიედინება და პატრულირებაც ალბათ უფრო დიდხანს გასტანს.

ადამიანის უფლებები მისიისა და ევროკავშირის ქმედებების საფუძვლად

ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემა ევროკავშირის ცენტრალური ღირებულებაა და მისი ქმედებებისთვის განუყოფელია, მათ შორის საერთაშორისო პარტნიორებთან მუშაობისთვის. ევროკავშირის ყველა მისია ვალდებულია განახორციელოს თავისი საქმიანობა ადამიანის უფლებების ძირითადი პრინციპების შესაბამისად. საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ამას ადამიანის უფლებების საკითხებზე ინფორმაციის შეგროვებით, გადამოწმებით და ანალიზით აღწევს და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს რეგულარულად აცნობებს ადამიანის უფლებების დარღვევების შესახებ. მისია იყენებს კარგად დამკვიდრებულ საკომუნიკაციო მექანიზმებს - ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრებს, ასევე მისიის მიერ ოპერირებად ცხელ ხაზს - კონფლიქტის მხარეებთან ადამიანის უფლებების და საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის გამოწვევებზე მსჯელობისათვის.

"სასიამოვნოა იმის ნახვა თუ რამდენად მიზანდასახულნი არიან ჩემი კოლეგები რეგიონალურ ოფისებში ადამიანის უფლებების პოპულარიზაციის მხარდაჭერაში. ისინი ორგანიზებას უწევენ ინფორმაციის გაცვლის შეხვედრებს ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სახელმწიფო მოხელეებთან. ისინი აგროვებენ ინფორმაციას მოწყვლადი ჯგუფებისა და ადამიანის უფლებების შესაძლო დარღვევების შესახებ. ინფორმაციის შეგროვებასა და გადამოწმებას დიდი დრო სჭირდება, მაგალითად, გადაადგილების თავისუფლების ან მშობლიურ ენაზე განათლების მიღების უფლების შესახებ, მაგრამ ისინი არ ნებდებიან სანამ რეალურ პასუხებს არ პოულობენ," რადკა რუბილინა, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ადამიანის უფლებათა საკითხებში მრჩეველი.

მისიის ყველა დამკვირვებელს სამივე ჯგუფში (ადამიანის უსაფრთხოების, შესაბამისობის და ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის საკითხებზე) ევალება ადამიანის უფლებების საკითხების იდენტიფიცირება და მოხსენება. ამასთან, საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფები მთავარ როლს ასრულებენ სიღრმისეულ მონიტორინგსა და ამგვარი საკითხების შესახებ ანგარიშგებაში. თბილისში მოქმედი ადამიანის უფლებათა საკითხებზე მრჩეველი აანალიზებს ადგილზე მიღებულ ინფორმაციას ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის, საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. გარდა 2008 წლის ომის შედეგების საერთაშორისო ხელშეკრულებებთან, ჩვეულებრივი საერთაშორისო სამართალთან და საერთაშორისო სამართლის სხვა ზოგადი პრინციპებთან შესაბამისობაში ყოფნის შეფასებისა, ადამიანის უფლებათა მრჩეველი აგრეთვე იკვლევს დაკავშირებული საკუთრების უფლებებს და მათ დაცულობას. ეს მოიცავს საქართველოს კულტურული და რელიგიური მემკვიდრეობის ძეგლებზე წვდომას, ეთნიკურ უმცირესობებთან ურთიერთობებს, კონფლიქტთან დაკავშირებულ საერთაშორისო სისხლის სამართლის საქმეებს, სიძულვილის ენის ან სიძულვილის საფუძველზე ჩადენილი დანაშაულის შემთხვევებს, მიგრაციის საკითხებთან დაკავშირებულ საჭირო დოკუმენტაციას, გადაკვეთის რეჟიმს ან იძულებით გადაადგილებულ პირებს, დაკავების შემთხვევებსა და დაკავების პირობებს.

საქართველოში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის შეუფერხებელი დინების უზრუნველსაყოფად, საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ შექმნა სპეციალიზირებული თანამშრომლების ქსელი, რომელიც დაკავშირებს რეგიონალურ ოფისებსა და მისიის სათავო ოფისს ერთმანეთთან. ეს ქსელი რეგულარულად აწყობს შეხვედრებს ქვეყანაში ადამიანის უფლებების საკითხებთან დაკავშირებული უახლესი აღმოჩენების, მოვლენებსა და ტენდენციებს განსახილველად. ეს შეხვედრები და ინფორმაციის რეგულარული გაცვლა აუმჯობესებს როგორც მისიის მონიტორინგს, ასევე ადამიანის უფლებების სფეროში მოვლენების ანალიზს ადგილზე, საშუალებას აძლევს მას უკეთესად მიაწოდოს ინფორმაცია ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და საერთაშორისო პარტნიორებს.

ერთი დღე ზუგდიდში ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის დამკვირვებლის ცხოვრებიდან ...

ნადეჟდა დრუმევა, ბულგარეთი, ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის დამკვირვებელი - ზუგდიდის რეგიონალური ოფისი

რატომ არის თქვენი სამსახური მნიშვნელოვანი?

მე ვთვლი ჩემს სამსახურს მნიშვნელოვანად, ვინაიდან ბევრ ადამიანს, რომელსაც ჩემი საქმიანობის ფარგლებში ვხვდები - განსაკუთრებით იძულებით გადაადგილებულ პირებს, ცხოვრების ძალიან რთულ პირობები აქვთ. ხალხთან საუბრისას შემიძლია უკეთესად გავიგო ამ გამოწვევების შესახებ, მათ შორის ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა გადაადგილების თავისუფლება აფხაზეთთან ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზზე, ადამიანის უფლებების დარღვევის შემთხვევები და სოციალური უსაფრთხოებისა და სოციალური დახმარების ხელმისაწვდომობა. ამ საკითხების მონიტორინგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ვინაიდან მისიას ეხმარება შეისწავლოს, თუ რამდენად არიან ადამიანები დაზარალებულნი და ზოგჯერ გამოავლინოს პოტენციური გადაწყვეტილებები, რომელთა განხილვაც შესაძლებელია ცხელი ხაზის ან ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის მეშვეობით. ჩემთვის ამ სამუშაოს ყველაზე საამაყო ნაწილი ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობაა, რადგან ქართველები ბულგარელებივით არიან. ისინი კეთილი, გულწრფელი, თბილი, კარგი და სტუმართმოყვარე ხალხია. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს სახლში ვარ.

ადამიანის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რა ამოცანებს შეასრულებთ დღეს და როგორ ჯდება ეს საქმიანობა ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის საერთო გეგმაში?

დღეს ჩვენ გვაქვს სპეციალური დავალება - შევაგროვოთ ინფორმაცია მოსავალთან დაკავშირებით, რომელიც ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მრავალი ადამიანისთვის პრობლემური გახდა ინვაზიური მავნებლების გამო. ჩვენ ასევე გავესაუბრებით ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც მუშაობენ გენდერული ნიშნით ძალადობის საკითხზე იმ საჩივრის შეტანისა და დაცვის მექანიზმების შესახებ, რომლებიც მათ ადგილობრივ თემებში არსებობს და ასევე ამ მექანიზმებზე ქალთა წვდომის თაობაზე. ყოველწლიურ მოსავალზე მავნებლების მიმდინარე ზეგავლენის მონიტორინგი მნიშვნელოვანი ამოცანაა, ვინაიდან ეს არის ეკონომიკური უსაფრთხოების საზომი იმ ხალხისთვის, რომელთა ოჯახის შემოსავალიც თითქმის მთლიანად ეყრდნობა სოფლის მეურნეობას. გენდერული ნიშნით ძალადობა ფართოდ არის აღიარებული, როგორც კონფლიქტის ბარომეტრი - ძალადობის ზრდა ოჯახში ისტორიულად ფართო საზოგადოებაში კონფლიქტის წინაპირობას წარმოადგენდა. გარდა ამისა, ქალების, კაცების, ბიჭების და გოგოების პირადი უსაფრთხოება ადამიანის ძირითადი უფლებაა და ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფში ჩვენი სამსახური სწორედ ამის შეფასებაა.

ვინ დაგეხმარებათ დღეს და რომელ სფეროში შეასრულებთ თქვენს დავალებას?

ჩემი საერთაშორისო კოლეგები დამეხმარებიან გავესაუბრო ადამიანებს, რათა შევაგროვოთ, დავამოწმოთ და გავაანალიზოთ ინფორმაცია ადამიანის უფლებებზე და გენდერთან დაკავშირებულ საკითხებზე. ჩემი ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის კოლეგები დღეს არიან დავიდე მოურა ლუქსემბურგიდან და თარჯიმანი მანანა საქართველოდან.

რა დრო დასჭირდება პატრულირებას?

ჩემი პატრულირება დილის 9 საათზე იწყება და საღამოს 5 საათზე დასრულდება. ზოგჯერ, როდესაც არსებობს კონკრეტული დავალება და ჩვენ უნდა გავესაუბროთ დიდი რაოდენობით ხალხს, რათა მივიღოთ "ფართო სურათი", პატრულირება შეიძლება უფრო მეტ ხანსაც გაგრძელდეს.

გენდერული თანასწორობის განვითარება ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საერთო პასუხისმგებლობაა

საქართველოში კონფლიქტის შემდგომი სიტუაციის მონიტორინგის დროს, ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია უზრუნველყოფს, რომ ქალებმა და კაცებმა თანაბრად გაიარონ კონსულტაციები, რათა უკეთესად იქნეს გაგებული ქართულ საზოგადოებაში მათი განსხვავებული როლებისა და გენდერული უთანასწორობის გავლენა ადამიანის უსაფრთხოებაზე, მათ შორის მართლმსაჯულების, პირადი, ეკონომიკური, ჯანდაცვისა, სურსათისა და გარემოსდაცვითი უსაფრთხოება.

გენდერული თანასწორობა არის საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მუშაობის საფუძველი. გენდერული როლებისა და ურთიერთობებში განსხვავებების ამოცნობა ეხმარება მისიას უკეთესად გაიგოს თუ რა სახით დააზარალა კონფლიქტმა თითოეული. ამის მისაღწევად, მნიშვნელოვანია, რომ მისია ესაუბროს როგორც ქალებს, ასევე მამაკაცებს, შემდგომ კი თვალსაზრისი უნდა გაანალიზდეს და მოხდეს ანგარიშგება. ეს არის ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ყველა გუნდის ფოკუსის საკითხი, მათ შორის ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის.

"გენდერული საკითხების მეინსტრიმინგი და გენდერული თანასწორობის დამკვიდრება საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საერთო პასუხისმგებლობაა. გენდერულ საკითხებში კოორდინატორების ქსელი წარმოადგენს ფასდაუდებელ რესურსს ადგილზე ჩვენი საპატრულო ჯგუფების ყოველდღიური მონიტორინგის ღონისძიებებში გენდერული ინტეგრაციისთვის. საჭიროა სისტემური ძალისხმევა ჩვენს საქმიანობაში გენდერული პერსპექტივის წარმატებით და შინაარსობრივად ინტეგრირებისთვის: „ყოველი თანამშრომელი მნიშვნელოვან როლს უნდა თამაშობდეს "- სინი რამო, მისიის მრჩეველი გენდერულ საკითხებზე.

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325 - ქალთა, მშვიდობისა და უსაფრთხოების შესახებ არა მხოლოდ ცნობს იმ განსხვავებებს, თუ როგორ განიცდიან ქალები, კაცები, ბიჭები და გოგოები კონფლიქტს, არამედ აცხადებს, რომ მუდმივი მშვიდობა მიიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქალი მონაწილეობს მის მისაღწევად განხორციელებულ პროცესებში. ევროკავშირი სრულად უჭერს მხარს ამ რეზოლუციას და მის შესაბამისად მიიღო საკუთარი სახელმძღვანელო მითითებები, მათ შორის ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის მისიების მიმართ მოთხოვნა გაეთვალისწინებით გენდერული საკითხები მათი საქმიანობის ყველა ასპექტში. ეს ნიშნავს ანალიზს იმისა, თუ რა გავლენას ახდენს სქესი ადამიანების მოთხოვნილებებზე, გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე, გენდერულ კომპონენტებად დაშლილი მონაცემების შეგროვებასა და ანალიზს, ქალთა და მამაკაცთათვის სათანადო კითხვების მომზადებას, და იმის უზრუნველყოფას, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის სადამკვირვებლო ჯგუფი, რომელიც ამ კითხვებს დასვამს, შედგებოდეს როგორც ქალებისგან ასევე კაცებისგან.

გენდერულ საკითხებში კოორდინატორების ქსელი სათავო და რეგიონალურ ოფისებში ხელს უწყობს მისიის მასშტაბით გენდერული საკითხების მეინსტრიმინგს.

ნდობის აღდგენა ირიგაციისა და ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზთან სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე წვდომის საკითხებზე

საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის გორის რეგიონალური ოფისის ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი შედგება განსხვავებული ეროვნებისა და გამოცდილების 5 დამკვირვებლისგან, მათი გამოცდილება მოიცავს შემდეგ სფეროებს: საზოგადოებრივი უსაფრთხოება, საერთაშორისო ადამიანის უფლებები, თავშესაფრის დაცვა, კარგი მმართველობა და ტექნიკური მხარდაჭერა მდგრადი არსებობისთვის. ჯგუფი ფარავს თემების ფართო სპექტრს, მათ შორისაა გამოწვევები, რომელთა წინაშეც დგას ადგილობრივი მოსახლეობა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ. ეს მოიცავს წვდომას მიწასა და საირიგაციო წყალზე.

ადმინისტაციულ სასაზღვრო ხაზთან მცხოვრები მოსახლეობის 90% არსებობისთვის ძლიერ არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობაზე. შესაბამისად, ჯგუფი ყურადღებას სწორედ დაკავშირებულ საკითხებზე ამახვილებს. 2008 წლის კონფლიქტს სერიოზული ნეგატიური შედეგები მოჰყვა ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრებ პირთათვის. ბევრ გლეხს ხელი არ მიუწვდება მიწაზე რომელსაც ტრადიციულად იყენებდა სოფლის მეურნეობის დანიშნულებით და რომელზეც იყო დამოკიდებული მათი შემოსავალი.

ჯგუფი სპეციალიზებულ სააგენტოებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს უზიარებს თავის დასკვნებსა და შეფასებებს, მათ შორის უკიდურესი სიღარიბის შემთხვევების შესახებ. შედეგად, ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის ორივე მხარეს დახმარება გაეწია რამდენიმე ოჯახს.

სარწყავი წყალი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ჯგუფისთვის. ტრადიციულად სარწყავი წყალი მოედინებოდა სარწყავი სისტემით სამხრეთ ოსეთიდან საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. 2008 წლის შემდეგ ბევრმა ფართო მასშტაბიანმა სისტემამ შეწყვიტა ფუნქციონირება, რის შედეგადაც სასოფლო სამეურნეო მიწის დიდი ტერიტორიები დარჩა სარწყავი წყლის გარეშე.

ათასობით ხეხილი დაიღუპა და ფერმერებმა შეცვალეს ბოსტნეულის კულტურები, რომლებიც ზრდისათვის წყლის დიდ რაოდენობას საჭიროებენ, იმ კულტურებით რომლებსაც ამის საჭიროება არ გააჩნიათ, მაგრამ რომლებიც ასევე უფრო დაბალი ღირებულებით გამოირჩევიან. წყალზე წვდომა ადამიანის უფლებების ძირითადი საკითხია.

აღნიშნული სარწყავი სისტემების ნაწილი აღდგენილია საქართველიოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ძვირადღირებული სატუმბი სადგურების გამოყენებით. ამასთან, ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი იმედოვნებს, რომ ნაკლებად ძვირადღირებული და უფრო მდგრადი გამოსავალი შეიძლება მოიძებნოს ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრებზე მიმდინარე დისკუსიების შედეგად.

საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ორგანიზებას უწევს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრებს გამოცდილების გაცვლის მიზნით

ზუგდიდის რეგიონალურ ოფისში ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი შედგება 7 წევრისგან. მათ აქვთ შერეული სამოქალაქო და პოლიციური გამოცდილება. ზუგდიდის ჯგუფის ერთ – ერთი მთავარი ამოცანა რეგულარული „ინფორმაციის გაზიარების შეხვედრების "(ISM) ორგანიზებაა, როგორც წესი, ყოველ ექვს – რვა კვირაში ერთხელ. ეს შეხვედრები ეფუძნება მსგავს შეხვედრებს, რომლებსაც თავდაპირველად ატარებდა საქართველოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისია, რომელმაც ეტაპობრივად დატოვა ქვეყანა 2009 წლიდან. ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფები მონაწილეობენ ამ მნიშვნელოვან შეხვედრებში და ხშირად უწევენ შეხვედრებს თავმჯდომარეობასაც.

„ჩვენ ვართ შეშფოთებულნი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მშვიდობის მშენებლობის შესაძლებლობების ნაკლებობით. მიუხედავად ამისა, კონფლიქტის ტრანსფორმაციის მიზნით ბევრი კარგი სამუშაო მიმდინარეობს. ჩვენ ვხედავთ, რომ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია სერიოზულად ცდილობს მშვიდობიანი გარემოს დაცვას,"-არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი ინფორმაციის გაცვლის შეხვედრაზე საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიასთან.

2009 წლიდან ზუგდიდში ჩვენმა რეგიონალურმა ოფისმა თავჯდომარეობა გაუწია ინფორმაციის გაცვლის 72 შეხვედრას ჩვენს ადგილობრივ პარტნიორებთან და მონაწილე საერთაშორისო დაინტერესებულ მხარეებთან ერთად, როგორიცაა ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის ოფისი სამხრეთ კავკასიაში და საქართველოში კრიზისის საკითხებში და გაერთიანებული ერების იძულებით გადაადგილებულ პირთა ორგანიზაცია. ეს შეხვედრები ხელს უწყობს არამარტო ჩვენს პარტნიორებს შორის უკეთეს ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას, არამედ გვაძლევს უნიკალური წვდომის შესაძლებლობას, რათა საქართველოს მოსახლეობას გავაცნოთ მისიის მანდატი და საქმიანობა" - ევა პროსკოვა - საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ზუგდიდის რეგიონალური ოფისის უფროსის მოადგილე.

ჩვეულებრივ, თითოეულ შეხვედრაზე 20 – მდე მონაწილეა, რომლებიც 18 – მდე არასამთავრობო ორგანიზაციას წარმოადგენენ, სხვადასხვა რეგიონიდან. ამ შეხვედრების მიზანია ინფორმაციის გაცვლა დასავლეთ საქართველოში განვითარებული მოვლენების შესახებ, რომლებიც აქტუალურია სამოქალაქო საზოგადოებისთვის. მონაწილე ორგანიზაციები წარადგენენ თვალსაზრისს მათი პროექტების, საზოგადოების ცხოვრებისა და ყოველდღიური გამოწვევების შესახებ.

"ამ შეხვედრებზე ადგილობრივი ექსპერტები, საზოგადოების ყველა ფენიდან, გვეხმარებიან ღია და გამჭვირვალე ფორმით, რათა უკეთესად გავიგოთ ადგილზე მიმდინარე მოვლენების განვითარების და ხალხის ცხოვრებაზე მათი დადებითი გავლენის შესახებ", - პეკკა მატილა, ზუგდიდის რეგიონალური ოფისის ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის ლიდერი.

ზუგდიდის ბაზრის მნიშვნელობა გალში მცხოვრები ხალხისთვის

საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ერთ-ერთი მიზანია იმ პროგრესის მონიტორინგი, რომელიც მიღწეულ იქნა ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობისათვის უსაფრთხო და ნორმალური ცხოვრების აღდგენაში. მრავალ საზომთა შორის, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი არის თავისუფალი წვდომა საკვებსა და სხვა აუცილებელი საჭიროების ნივთებზე.

ზუგდიდის ბაზარი მდებარეობს ენგურის ხიდიდან დაახლოებით 10 კილომეტრში, რომელიც არის მთავარი გადასასვლელი პუნქტი საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიისა და აფხაზეთს შორის. იმ 2000 ადამიანიდან, რომლებიც ყოველდღიურად კვეთენ ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზს, უმეტესობა ზუგდიდის ბაზრის სტუმრობისა და პირველადი საჭიროების პროდუქტების შესყიდვის მიზნით გადმოდის. ვინაიდან ითვლება, რომ აღნიშნული პროდუქცია აქ გალის ბაზართან შედარებით უფრო იაფია. ბაზრის მოვაჭრეების თქმით, მათი მომხმარებლების დაახლოებით ნახევარი აფხაზეთიდან მოდის.

2019 წელს, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების მიერ ენგურის ხიდზე კონტროლირებადი გადაკვეთის პუნქტის ხანგრძლივი პერიოდით გადაკვეთებზე დაწესებული შეზღუდვების შედეგად გაჩნდა მნიშვნელოვანი სირთულეები, როგორც მოვაჭრეებისთვის, ასევე მომხმარებლებისთვისაც. ბაზრის მოვაჭრეები წუხილს გამოთქვამდნენ მომხმარებლების ნაკლებობისა და შესაბამისად შეზღუდვების გამო მათი შემოსავლების მკვეთრი კლების თაობაზე. გალის მოსახლეობამ მისიას აცნობა, რომ ზუგდიდის ბაზარზე შესვლის გარეშე, გალის ბაზარში მათ სამჯერ მეტი უნდა გადაეხადათ იგივე საქონლის შესაძენად, რაც ყველაზე ცუდია. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები რეგულარულად მიდიან ბაზარში, რათა გაეცნონ სოციალურ-ეკონომიკური მოვლენების განვითარებასა და გადაადგილების თავისუფლების ტენდენციებს. მოვაჭრეებთან და მომხმარებლებთან დისკუსიის შედეგად შეგროვილი ინფორმაცია აფართოვებს ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის ანალიზს და კონფლიქტის შედეგების შესახებ ანგარიშგებას.

„ადამიანებს უნდა ჰქონდეს უფლება, გადა-კვეთონ ხიდი და ამ რე-გიონში იმოგზაურონ იქ, სადაც მათ სურთ. ჩვენ უნდა შეგვეძლოს ჩვენი პროდუქციის ტრანსპორ-ტირება ზუგდიდსა და გალს შორის შეზღუდვების გარეშე" - ადგილობრივი მკვიდრი ზუგდიდიდან

საქართველოს აქვს მრავალფეროვანი ეთნიკური ლანდშაფტი

საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია მისი მანდატის შესაბამისი ყველა მოვლენის განვითარებას აკვირდება, მათ შორის უმცირესობათა ჯგუფებში, სადაც სოციალურ ეკონომიკური ჩართულობა შეზღუდულია ხოლო გარეგანი გავლენის პოტენციალი კი მაღალი. მიუხედავად იმისა, რომ მისია კარგად არის ცნობილი, ძირითადად ქართულენოვანი მოსახლეობით დასახლებულ ტერიტორიაზე, საქართველოს სხვა რეგიონებში ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფებს მეტი ძალისხმევის გაწევა უწევთ თავიანთი დავალებების, საქმიანობისა და ზოგადად საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის როლის ასახსნელად. როგორც აზერბაიჯანულ, ისე სომხურ საზოგადოებებში სიღარიბე ხშირად არ აძლევს ხალხს საშუალებას იმოგზაურონ თავიანთი სოფლის მიღმა და ქართული ენის არ ცოდნა კი აფერხებს სრულფასოვან ჩართულობას ქართულ სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამ შედარებითი იზოლაციის გამო, აზერბაიჯანულ და სომხურ თემებში მცხოვრებ ბევრ ადამიანს აქვს შეზღუდული ინფორმაცია 2008 წლის კონფლიქტის შესახებ, ან იმისგან განსხვავებული შეხედულება აქვთ მის გამომწვევ მიზეზებსა და შედეგებზე, რაც ძირითადად ქართულ საზოგადოებაშია გავრცელებული.

ეს დიქოტომია ხშირად ვრცელდება ქვეყნის დანარჩენ ტერიტორიაზე არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე და ძლიერდება, როდესაც საქმე ეხება სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთის ტერიტორიებს.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიამ გაზარდა მისი საქმიანობის ხილვადობა უმცირესობების არეალში განსაკუთრებით აზერბაიჯანულ და სომხურ თემებში.

ბავშვები კვეთენ ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზს გაკვეთილებზე დასასწრებად

„ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის ორივე მხარეს მცხოვრები მოსახლეობისათვის უსაფრთხო და ნორმალური ცხოვრების აღდგენა, მათ შორის ყველა ბავშვის უფლება მიიღონ განათლება მშობლიურ ენაზე, არის მისიის მანდატის მთავარი ელემენტი. ეს არის ადამიანის უფლება!“ - ტინეკე რილაერტს, ზუგდიდის რეგიონალური ოფისის ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის ლიდერის მოადგილე.

სკოლა ყოველთვის მარტივი არაა. ზოგიერთს საწოლიდან დროულად ადგომა უძნელდება სკოლაში მისასვლელად. ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის ან საგუშაგოს არსებობა შენსა და შენს სკოლას შორის კი ყოველივეს კიდევ უფრო ართულებს. ზუგდიდის რეგიონალური ოფისის ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი ახორციელებს საქმიანობას იმისთვის, რომ ბავშვებმა მინიმალური შეფერხებით შეძლონ გადაკვეთა.

ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი ზუგდიდის რეგიონალურ ოფისში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს განათლების უფლებას და სკოლის მოსწავლეებისთვის ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გადაკვეთის საჭიროებას, რათა მათთვის მშობლიურ ენაზე მიიღონ განათლება.

2016 წლიდან დღემდე მცირდება მოსწავლეთა რიცხვი (საბავშვო ბაღიდან მე –12 კლასამდე), რომლებიც ყოველდღიურად კვეთენ ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზს სკოლაში დასასწრებად. 2009 - 2010 წლებში ყოველდღიურად 128 ბავშვი გადადიოდა. 2016-2017 წლებში ეს მაჩვენებელი შემცირდა 39-მდე, ხოლო 2018 წელს ეს მაჩვენებელი მხოლოდ 21-ს შეადგენდა. ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის გასწვრივ უფრო და უფრო მეტი ღობეების დაყენება და 2016 და 2017 წლებში ორი გადასაკვეთი პუნქტის დახურვამ ხელი შეუწყო გადასვლების რაოდენობის შემცირებას. ბევრი მოსწავლე იძულებული გახდა შეეცვალა სკოლა. სხვები ოჯახებთან ერთად საცხოვრებლად გადავიდნენ საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

ბავშვები, რომლებიც ყოველდღიურად კვეთენ ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზს, დილით ტოვებენ თავიანთ სახლს აფხაზეთში და კვეთენ ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზს საბერიოს კონტროლირებად გადასაკვეთ პუნქტთან, რომელიც რუსი მესაზღვრეებით არის დაკომპლექტებული. შემდეგ ისინი გადაადგილდებიან ავტობუსით, რათა საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე წავიდნენ სკოლაში. გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, ისინი ავტობუსით იმავე კონტროლირებად გადასაკვეთ პუნქტთან მიდიან, რათა დაბრუნდნენ სახლში. რეგიონალური ოფისი აკვირდება მათ მგზავრობას და რეგულარულად მიდის საბერიოში, რათა დააკვირდეს მათ გადაადგილებას. დამკვირვებლები ასევე ესაუბრებიან სკოლის დირექტორებს სკოლაში დასწრების თაობაზე რათა აღმოაჩინონ ნებისმიერი დამატებითი დაბრკოლება, რომელიც ექმნებათ ამ ბავშვებს სკოლაში სიარულისას.

სხვა სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები ადმინისტრაციულ სასაზღვრო ხაზს ნაკლები სიხშირით კვეთენ. მაგალითად, ისინი სწავლობენ სკოლაში, პროფესიულ კოლეჯში ან უნივერსიტეტში ზუგდიდში ან თბილისში, მაგრამ ცხოვრობენ საერთო საცხოვრებელში ან ოჯახის წევრებთან ერთად საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. ისინი მხოლოდ შაბათ-კვირას ან სკოლის არდადეგების დროს ბრუნდებიან.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია რეგულარულად აწვდის განახლებულ ინფორმაციას ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს და ინსტიტუტებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სკოლის მოსწავლეებისთვის არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით. მისია მხარს უჭერს ჰუმანიტარული მიდგომის ყველა შესაძლო ინსტანციასა და ფორუმში, მათ შორის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის ფარგლებში შეხვედრებისა და ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიერ ოპერირებადი ცხელი ხაზის საშუალებით, და ხელს უწყობს ბავშვთა გადაადგილების თავისუფლებას, რათა მშობლიურ ენაზე მიიღონ განათლება.

ჩვენი დამკვირვებლები რეგულარულად ხვდებიან იძულებით გადაადგილებულ პირებს

მცხეთის რეგიონალურ ოფისში ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი შედგება 9 დამკვირვებლისაგან. მიუხედავად იმისა რომ რამდენიმეს აქვს სამხედრო და პოლიციური გამოცდილება, მათ ძირითადად სამოქალაქო გამოცდილება აქვთ. გუნდი ესაუბრება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, ადგილობრივ ხელისუფლებას და სხვა ინსტიტუტებს და პირებს ადამიანის უსაფრთხოების საკითხების მონიტორინგის ფარგლებში, მათ შორის გადაადგილების თავისუფლებაზე, იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებებზე და ყოველდღიურ სხვა საზრუნავებზე, მთლიანად აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე.

”როდის შევძლებთ ჩვენს სახლებში დაბრუნებას?” ალბათ ეს ყველაზე რთული კითხვაა, რომელსაც ჩვენი ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე დამკვირვებლები იღებენ პატრულირების დროს. მცხეთის რეგიონალური ოფისის ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფი რეგულარულად სტუმრობს უმსხვილეს დასახლებებს, სადაც ცხოვრობენ ადამიანები, რომლებსაც არ შეუძლიათ საკუთარ სახლებში დაბრუნება საქართველოში არსებული კონფლიქტის გამო - წეროვანი, წილკანი და პრეზეთი. გუნდი ასევე მიდის ეგრეთ წოდებულ "კოლექტიურ ცენტრებში" - შენობები, რომლებიც საცხოვრებლად არ იყო აშენებული, მაგრამ გადაკეთებულია იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებლად -აღნიშნული შენობები მდებარეობს თბილისსა და რეგიონებში მთელი საქართველოს მასშტაბით. იძულებით გადაადგილებულ პირებთან საუბრის შედეგად უკეთესად ვიგებთ იმ გამოწვევების შესახებ რომლებიც მათ წინაშე დგას.

ზოგჯერ დამკვირვებლებს იწვევენ სახლში სტუმრად ის ადამიანები, რომლებსაც ისინი ელაპარაკებიან პატრულირების დროს. ქართული სტუმართმოყვარეობა გულუხვი და გულწრფელია. ადამიანის უსაფრთხოების საკითხებზე მომუშავე ჯგუფის წევრები დაესწრნენ დაბადების დღის აღნიშვნებს, ქორწილებს - და პანაშვიდებს - და მოისმინეს მრავალი სამწუხარო ამბავი ნათესავების შესახებ, რომლებიც გარდაიცვალნენ ადმინისტრაციული სასაზღვრო ხაზის მეორე მხარეს და რომელთა დაკრძალვებსაც მათი ნათესავები ვერ დაესწრებოდნენ. ეს ვიზიტები ასევე საშუალებას აძლევს მოსახლეობას დასვან კითხვები ჩვენსა და საქართველოში მისიის მუშაობის შესახებ.

მისიის ხელმძღვანელის განცხადება

”მისია გამოყოფს რესურსებს ადამიანის უსაფრთხოების საკითხების მონიტორინგისთვის, რომელიც ფიზიკური ზიანის საფრთხისგან დაცვის ფარგლებს სცდება და მოიცავს, მაგალითად, სიღარიბის საკითხს, გადაადგილების თავისუფლების არარსებობისა და ჯანდაცვის მომსახურებაზე წვდომას. მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია განაგრძობს დეტალური და მიუკერძოებელი ინფორმაციის მიწოდებას ამგვარი მოვლენების შესახებ, რეგიონებში თავისი ჯგუფებისა და თბილისის სათავო ოფისის ექსპერტების მუშაობის წყალობით. ეს გადაწყვეტილების მიმღებ პირებს ევროკავშირსა და ევროკავშირის დედაქალაქებში საშუალებას აძლევს იყვნენ ინფორმირებულნი ადგილზე არსებული გამოწვევების შესახებ. ზოგიერთ შემთხვევაში, ჩვენ ასევე გვაქვს მხარედაჭერის როლი და როლი კომუნიკაციისა და თანამშრომლობის ხელშესაწყობად, რაც არის პრობლემების გადაჭრის წყარო ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რომელთა უფლებები და არსებობა არის წნეხის ქვეშ. ჩვენ ასეთ საკითხებს წამოვჭრით ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიერ ოპერირებადი ცხელი ხაზის, ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის შეხვედრებისა და სხვა შესაბამისი ფორმატის საშუალებით,”- ერიკ ჰოგი, მისიის ხელმძღვანელი, საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია.

European Union Monitoring Mission in Georgia

www.eumm.eu

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია საქართველოში ერთადერთი მისიაა, რომელიც უშუალოდ სადამკვირვებლო საქმიანობაზეა კონცენტრირებული. 2018 წლის 3 დეკემბერს ევროპის საბჭომ მისიის მანდატი 2020 წლის 14 დეკემბრამდე გააგრძელა.

ბ-ნი ერიკ ჰოგი (დანია) არის მისიის ხელმძღვანელი. მას წინ უძღვოდნენ კიასტუტის იანკაუსკასი (ლიეტუვა), ტოივო კლაარი (ესტონეთი), ანდჟეი ტიშკევიჩი (პოლონეთი) და ჰანსიორგ ჰაბერი (გერმანია)

გამოცემულია საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მიერ დაგვიკავშირდით: press@eumm.ge

· **დეზ დოილი**, პრესსპიკერი

· **უილლიამ ბოიდი**, პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი:

· **ნინო სუხიტაშვილი**, პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი/მედია მონიტორი

· **თამთა მეგრელიძე**, პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის ოფიცერი/ მედია მონიტორი

გვეწვიეთ: www.eumm.eu, და ასევე: www.facebook.com/eumm.geo, https://www.instagram.com/eumm_georgia/ და www.flickr.com/photos/eeas-csdp/albums/72157677976230403